

ქეთევან ხუბულავა

Ketevan Khubulava

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**სიუჟეტის აგება ლირიკულ თხზულებაში
(ნიკოლოზ ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზე“)**

**Plotting the Lyric
(Nikoloz Baratashvili “Nightfall on Mtatsminda”)**

DOI: <https://doi.org/10.62119/lr.45.2025.10016>

The poem “Nightfall on Mtatsminda” is a structurally complex lyrical text built upon the alternation of the narrator's and the experiencer's voices. The analysis is based on the identification of schematas and their corresponding cognitive scripts (Peter Huhn), which help to establish the principles of plot construction and to identify underlying mental processes. Two core thematic templates are revealed in the poem:

1. Escaping sorrow and melancholy through immersion in nature
2. Recalling past experiences for the purpose of their narrative reconstruction

The first template aligns with the philosophy of Romanticism, where nature serves as a meditative space spiritually akin to the human self, as both are seen to emanate from the Absolute (Schelling). The second is rooted in cognitive theory and relates to mechanisms of autobiographical memory. These templates help the reader determine the poem's narrative structure and understand how episodic memory is reconstructed through narration. The narrator not only describes a specific episode but also reflects the mental processes related to the act of remembering, which gives the poem discursive depth and creates a high level of narrativity. The experiencer functions on the story level, while the narrator operates on the discourse level. Their alternation shapes the dynamic of narration and simultaneously reflects a lyrical process of self-reflection. Ultimately, the analysis reveals that the text embodies complex intellectual processes – an effort to define personal identity through memory. Considering the lyrical genre's fragmentary and segmented nature, it is difficult to sharply distinguish between narrator and character, but the use of templates and scripts aids this interpretation. Based on the theoretical foundations of Romanticism and cognitive science,

the poem is revealed to express a process of remembrance, where the recalled event is vital for the narrator's identity. The narrative act of remembering serves the function of preserving this significant memory within the “archive” of personal identity.

საკვანძო სიტყვები: რომანტიზმი, მთხრობელი მე, განმცდელი მე, ამბის დონე, დისკურსის დონე, კოგნიტური შაბლონები და სკრიპტები

Keywords: Romanticism, Narrating I, Experiencing I, Story level, Discourse level, Cognitive schematas and scripts

ლირიკის ნარატიული თეორია

კლასიკურმა ნარატოლოგიამ სტრუქტურალისტური პერიოდის შემდეგ საზღვრები საგრძნობლად გაიფართოვა. თანამედროვე ნარატოლოგიის ერთ-ერთი დარგია ტრანსჟანრობრივი ნარატოლოგია, რომელიც სწავლობს ნარატივს არა მხოლოდ პროზაში, როგორც ეს კლასიკური ნარატოლოგიის ფარგლებში ხდებოდა, არამედ ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: პოეზია, დრამა, ფილმი, ვიზუალური ხელოვნება, ცეკვა და თამაშები (Plooy, 2010, გვ. 2).

დარგის ფარგლებში შემუშავებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თეორია არის ლირიკის ნარატიული თეორია.

მეთოდოლოგია ლირიკის ნარატიული ანალიზისთვის შემუშავდა ჰამბურგის უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ნარატოლოგიური კვლევების ჯგუფში. ჯგუფის კვლევას მთლიანად ეძღვნება დარგობრივი აპრობირებული ჟურნალის, „ნარატოლოგიის“, ერთ-ერთი ტომი (Narratologia, The Narratological Analysis Of Lyric Poetry, Walter De Gruyter, Berlin, New York, 2005). შესავალ სტატიაში პიტერ ჰუნი აღნიშნავს, რომ კვლევა დაფუძნებულია დებულებაზე, რომლის თანახმადაც ნარაცია არის უნივერსალური სემიოტიკური მოდელი, რომელიც დამოუკიდებელია როგორც კულტურისგან, ასევე ისტორიული პერიოდისგან; იგი გამოცდილების სტრუქტურირებას და მისთვის მნიშვნელობის მინიჭებას ემსახურება. ეს საბაზისო ოპერაცია გამოვ-

ლენილია ლირიკულ პოეზიაშიც. ამის გამო, ნარატოლოგიას შეუძლია კონცეპტუალურად სრულყოს და გააფართოოს ლირიკის ანალიზი (Hühn, Schonert, 2005, გვ.1). ჰუნის თეორიის მნიშვნელოვანი საკითხია, თუ როგორ ხდება სიუჟეტის აგება ლირიკულ ტექსტებში. კვლევა ემყარება იმ აზრს, რომ ლირიკული ლექსები იზიარებს როგორც ამბისა და დისკურსის ფუნდამენტურ შემადგენელ ნაწილებს, ასევე ნარატიულ აქტს; მსგავსად პროზაული ნარატივისა, მათში ასახულია მოვლენათა (ჩვეულებრივ, მენტალური ხასიათის) თანმიმდევრობა, რომელიც ხედვის გარკვეული წერტილიდან სპეციფიკური პერსპექტივით არის წარმოდგენილი.

ლექსებში მოვლენათა თანმიმდევრობის ანალიზი ნარატოლოგიური ცნებების გამოყენებით არის შესაძლებელი; ამგვარი ანალიზის შედეგად, შესაძლოა, დადგინდეს, რომ მოვლენათა თანმიმდევრობები ურთიერთგადაჯახებული/ კოჰერენტულია, მოტივირებულია. მსგავს თანმიმდევრობას ჰუნი პოეტური **სიუჟეტის** სტატუსს სანიჭებს.

პოეზიაში სიუჟეტები შედგება მენტალური/ფსიქოლოგიური მოვლენებისგან (ასეთი შეიძლება იყოს აღქმა, წარმოდგენა, სურვილი, მღელვარება, გახსენება, სხვადასხვა ემოცია). ჰუნის მიერ შემოთავაზებული სიუჟეტის ზოგადი განსაზღვრება (რომელიც მისაღები იქნება როგორც მხატვრული ნარატივისთვის, ისე პოეზიისთვის) ეფუძნება კოგნიტური ფსიქოლოგიისა და ლინგვისტიკის გამოცდილებას; განსაკუთრებით კი იმ აზრს, რომ ტექსტში ინდივიდუალური მოვლენები შესაძლოა შეირჩეს, დაჯგუფდეს, კოჰერენტულ ნარატიულ თანმიმდევრობად ან სიუჟეტად ტრანსფორმირდეს და მნიშვნელობა შეიძინოს მხოლოდ სამყაროს ცოდნის პარადიგმატული მოდელიდან – სქემებიდან, რომელიც ზოგად გამოცდილებას ეფუძნება.

ჰუნი ორგვარ სქემას გამოყოფს: **შაბლონს/frame** და **სკრიპტს/script**. შაბლონის სქემის გააქტიურება მკითხველს საშუალებას აძლევს, დააკავშიროს ტექსტის განსხვავებული ნაწილები და ლექსის (როგორც ნებისმიერი სხვა ტექსტის) სიტუაციური ან თემატური მნიშვნელობა და კოჰერენტულობა გააანალიზოს სტატიკური თვალსაზრისით; შაბლონი, რომელთანაც დაკავშირებულია ერთი ან ერთზე მეტი სკრიპტი, ქმნის ტექსტის დინამიკურ ნარატიულ განზომილებას.

ამგვარი სქემები ლირიკაში უფრო იშვიათია, ვიდრე პროზაში. **ფრაგმენტულობის** გამო, მკითხველის ჩართულობა და „**ცარიელი ადგილების**“ რეკონსტრუირების პროცესი ინტენსიურია; ამაში მკითხველს სკრიპტები ეხმარება, რადგან, ასოციაციური აზროვნების საშუა-

აღებით, იგი (მკითხველი) ლირიკულ ტექსტში წარმოდგენილ ერთეულს ემპირიულ სამყაროში არსებულ მისთვის ნაცნობ საგანს/მოვლენას უკავშირებს.

სიუჟეტი **სელექციის** შედეგია, რომელშიც წარმოჩენილია მნიშვნელობის მქონე თანმიმდევრობების კორელაცია, სქემების კომბინაცია და ინტეგრაცია. სიუჟეტის განვითარებაში საკვანძო მნიშვნელობა აქვს **მოვლენას**; პოეზიაში სიუჟეტი მიემართება იდეებს, მოგონებებს, სურვილებს, ემოციებს, წარმოსახვებს და დამოკიდებულებებს, რომელიც **ლირიკული გმირის** კოგნიტურ პროცესებში წარმოიშობა. რომანტიკული ლექსები ხშირად ნარატორის/მთხრობლის იდენტობას ამჟღავნებს; აქ მთხრობელი თუ **პროტაგონისტი** ხმასა და **ფოკალიზაციას** **არასანდო თხრობის**, აწმყო დროისა და პირველი პირის ნაცვალსახელის გამოყენების საშუალებით წარმოაჩენს; თუმცა ეს აღქმული უნდა იყოს როგორც ფიქციური ეფექტი, რომელიც ასახული ამბის მანიპულაციისთვისა და მიზანმიმართული ორგანიზაციისთვის, არამედიურობის, სპონტანურობის ილუზიისთვის არის შექმნილი.

მკითხველი ტექსტში ნაჩვენებ ლირიკული გმირის ინდივიდუალურ ინციდენტებს/მოვლენებს და ეგზისტენტებს არჩევს, აჯგუფებს და კოჰერენტულ ნარატიულ თანმიმდევრობად გადააქცევს კოგნიტური სქემების (schemata) გააქტიურებით. ეს სქემები ადამიანის ზოგად გამოცდილებაზეა დაფუძნებული და რიგ შემთხვევაში ეპოქალურ, ცალკეული ლიტერატურული მიმდინარეობის მსოფლმხედველობრივ ასპექტებს აირეკლავს – მოვლენათა განვითარების სტანდარტულ გაგებას იძლევა. ნებისმიერი კოგნიტური სქემა თავის მხრივ შეიცავს შაბლონებს (frames) და სკრიპტებს (script). ტრადიციული ლიტერატურის მცოდნეობითი ტერმინებიდან შაბლონის გასააზრებლად უნდა გამოვიყენოთ ტერმინი თემატიკა, ხოლო სკრიპტი ამ თემის შესაბამისი მოქმედების განვითარების სტანდარტულ ეტაპებს აჩვენებს. (Emmott, Alexander, 2014). ე.ი. სკრიპტი ერთგვარ სცენარს წარმოადგენს.

ანოტირებული ტექსტი

შესავალი [ეპიზოდური მეხსიერების კონცეპტუალური ჩარჩო]

1. ჰოი, მთაწმინდავ, [გახსენების სიგნალი] მთაო წმინდავ [ს.ე.] ადგილნი შენნი
2. დამაფიქრველნი [ს.ე.], ვერანანი [ს.ე.] და უდაბურნი [ს.ე.],
3. ვითარ შევნიან, როს მონამენ ცვარნი ციურნი,
4. ოდეს სადამოს დაშთენ ამოს ციაგნი ნელნი! [ს.ე.] [ეპიზოდური მეხსიერების კონცეპტუალური ჩარჩოს კომპონენტები]

სიმჭიდროვე: 5 სიუჟეტური ელემენტი, დისკურსულ დონეზე

5. ვითარი მაშინ იდუმალეზა [ს.ე.] დაისადგურებს შენს არემარეს!
6. რა სანახავი წარუტყვევს თვალთა მაშინ შენს ტურფას სერზედ მდგომარეს! [ს.ე.]
7. ძირს გაშლილს ლამაზს ველსა ყვავილნი მოჰფენენ, ვითა ტაბლას წმიდასა, [ს.ე.]
8. და ვით გუნდრუკსა სამადლობელსა, შენდა აღკმევენ სუნნე-ლებასა! [ს.ე.] [ეპიზოდური მეხსიერების კონცეპტუალური ჩარჩოს კომპონენტები]

სიმჭიდროვე: 4 სიუჟეტური ელემენტი, დისკურსულ დონეზე

ეპიზოდური მეხსიერების განსახოვნება

9. მახსოვს იგი დრო [გახსენების აქტის მარკერი], [ს.ე.] საამო დრო [მთხრობელი მეს ემოციური შეფასება; კონცეპტუალური ინფორმაცია], [ს.ე.] როს ნაღვლიანი [განმცდელი მეს დისპოზიცია], [ს.ე.]
10. კლდევ ბუნდოვანო [მთხრობელი მეს ფიქრითი შეფასება; კონცეპტუალური ინფორმაცია] [ს.ე.], შენს ბილიკად მიმოვიდოდი [განმცდელი მეს ქმედება (action)] [ს.ე.],
11. და წყნარს [განმცდელი მეს ფიქრითი შეფასება] [ს.ე.] სადამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი, [განმცდელი მეს მირ აღქმული რეალობის ემოციური შეფასება] [ს.ე.]
12. რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი! [განმცდელი მეს მიერ აღქმული რეალობის ფიქრითი შეფასება] [ს.ე.]

სიმჭიდროვე: 8 სიუჟეტური ელემენტი, 3 ამბის დონეზე, 5 – დისკურსულ დონეზე

13. ოჰ [მთხრობელი მეს ემოციური შეფასება], [ს.ე.] ვით ყოველი ბუნებაც მაშინ იყო ლამაზი, მინაზებული! [განმცდელი მეს მიერ აღქმული რეალობის ფიქრითი შეფასება] [ს.ე.]

14. ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული! [მთხრობელი მეს ფიქრითი შეფასება; კონცეპტუალური ინფორმაცია; ეპიზოდური მეხსიერების კონცეპტუალური ჩარჩოს ელემენტი] [ს.ე.]

15. აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ [განმცდელი მეს აღქმა], [ს.ე.] მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან, [განმცდელი მეს ფიქრი; ნარატიული პრეზენტაცია] [ს.ე.]

16. მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან! [ფიქრის ნარატიული პრეზენტაცია] [ს.ე.]

სიმჭიდროვე: 6 სიუჟეტური ელემენტი. 2 დისკურსის დონეზე, 4 ამბის დონეზე

17. მე, შენსა მჭვრეტელს [განმცდელი მეს აღქმა; ნარატიული პრეზენტაცია], [ს.ე.] მავიწყდების საწუთროება, [განმცდელი მეს ფიქრი; ნარატიული პრეზენტაცია] [ს.ე.]

18. გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,

19. ზენაართ სამყოფთ, რომ დაშთოს ის ამაოება... [განმცდელი მეს სურვილი] [ს.ე.]

20. მაგრამ ვერ სცნობენ, გლახ, მოკვდავნი განგებას ციურს! [განმცდელი მეს ემოციური შეფასება; თავისუფალი ირიბი დისკურსი] [ს.ე.]

სიმჭიდროვე: 4 სიუჟეტური ელემენტი; 4 ამბის დონეზე, 1 დისკურსის დონეზე (3 ეკუთვნის განმცდელ მეს, ერთი არის საზიარო)

21. დაფიქრებული [განმცდელი მეს ფიქრის ნარატიული პრეზენტაცია] [ს.ე.] ვიდევ სერზედა [განმცდელი მეს მოქმედება (action)] [ს.ე.] და ცათა მიმართ მზირალს [განმცდელი მეს აღქმა; ნარატიული პრეზენტაცია] [ს.ე.] ტრფობითა [აღმქმელი მეს ემოციური შეფასება], [ს.ე.]

22. შემომერტყმოდა მაისის მწუხრი [განმცდელი მეს აღქმა], [ს.ე.] აღმვსები ნაპრალთ მდუმარებითა [განმცდელი მეს ემოციური შეფასება; თავისუფალი ირიბი დისკურსი]; [ს.ე.]

23. ხანდისხან ნელად მქროლნი ნიავენი ღელეთა შორის აღმოკ-
ვნესოდენ [განმცდელი მეს აღქმა] [ს.ე.] [განმცდელი მეს ემოციური
შეფასება] [ს.ე.]

24. და ზოგჯერ ჩუმნი შემოგარენი ამით ჩემს გულსა ეთანხმე-
ბოდნენ! [განმცდელი მეს ფიქრითი შეფასება] [ს.ე.]

სიმჭიდროვე: 9 სიუჟეტური ელემენტი, ამბის დონე

25. მთაო ცხოველო [მთხრობელი მეს შეფასება; კონცეპტუალური
ინფორმაცია] [ს.ე.] , ხან მცინარო [მთხრობელი მეს შეფასება] [ს.ე.] , ხან
ცრემლიანო, [მთხრობელი მეს შეფასება] [ს.ე.]

26. ვინ მოგიახლოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება

27. არა იპოვნოს და არ დახსნას გულსა ვაება, [მთხრობელი მეს
შეფასება; კონცეპტუალური ინფორმაცია] [ს.ე.]

28. გულ-დახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო! [მთხრობე-
ლი მეს შეფასება] [ს.ე.] [ეპიზოდური მეხსიერების კონცეპტუალური
ჩარჩოს ელემენტი]

სიმჭიდროვე: 5 სიუჟეტური ელემენტი, დისკურსული დონე

29. სდუმდა ყოველი მუნ არემარე [განმცდელი მეს აღქმა] [ს.ე.],
ბინდი გადევრა ცისა კამარას [განმცდელი მეს აღქმა] [ს.ე.],

30. მოსდევს მთოვარეს, ვითა მიჯნური [განმცდელი მეს ფიქრითი
შეფასება; თავისუფალი ფიქრი], [ს.ე.] ვარსკვლავი მარტო მისა ამარას!
[განმცდელი მეს აღქმა; ნარატიული პრეზენტაცია] [ს.ე.]

31. გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით მიქანცე-
ბული? [მთხრობლის ტექსტი; მკითველისადმი მიმართვა] [ს.ე.]

32. მას ჰგავდა მთვარე, ნაზად მოარე, დისკო-გადახრით შუქმი-
ბინდული! [განმცდელი მეს ფიქრითი შეფასება] [ს.ე.]

სიმჭიდროვე: 6 სიუჟეტური ელემენტი; 5 ამბის დონე, 1 – დის-
კურსის დონე

დასკვნა

33. ამგვარი იყო მთაწმინდაზედ შემოლამება! [სტრუქტურული
მარკერი – ძირითადი ნაწილის, ეპიზოდური მეხსიერების დასრულე-
ბაზე მიმანიშნებელი]

34. ჰოი, ადგილნო, მახსოვს, მახსოვს, რასაც ვჭფიქრობდი

35. მე თქვენთა შორის და ან რასაც აღმოვიტყოდი! [*მთხრობელი მეს შეფასება; კონცეპტუალური ინფორმაცია*] [ს.ე.]

36. მხოლოდ სული გრძნობს, თუ ვითარი სძლევნით მას შვება. [*ეპიზოდური მეხსიერების ელემენტების დაზუსტება*]. [ს.ე.]

სიმჭიდროვე: 2 სიუჟეტური ელემენტი, დისკურსის დონე

37. ჰოი, სადამოვ, მყუდროვ [*მთხრობელი მეს შეფასება; კონცეპტუალური ინფორმაცია*] [ს.ე.], სადამოვ, [*მთხრობელი მეს შეფასება; კონცეპტუალური ინფორმაცია*] [ს.ე.] შენ დამშთი ჩემად სანუგეშებლად! [*მთხრობელი მეს შეფასება; კონცეპტუალური ინფორმაცია*] [ს.ე.]

38. როს მჭმუნვარება შემომესევის, შენდა მოვილტვი განსაქარვებლად! [*მთხრობელი მეს შეფასება; კონცეპტუალური ინფორმაცია*] [ს.ე.]

39. მწუხრი გულისა – სევდა გულისა – ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,

40. რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს! [*მთხრობელი მეს შეფასება; კონცეპტუალური ინფორმაცია*] [ს.ე.]

სიმჭიდროვე: 5 სიუჟეტური ელემენტი, დისკურსულ დონეზე

ჯამში – 54 ელემენტი

დისკურსული ელემენტი – 29

ამბის ელემენტი – 25

ლექსის ანალიზი

ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზე“ მარკირებული თემატური შაბლონებია: 1. მწუხარებისგან და სევდისგან თავის დაღწევა ბუნების წიაღში გასვლით („როს ნაღვლიანი [...] შენს ბილიკად მიმოვიდოდი“) და 2. წარსული გამოცდილების გახსენება მისი ხელახალი რეკონსტრუირების მიზნით („მახსოვს იგი დრო“ / „ადგილნო, მახსოვს, მახსოვს, რასაც ვჭფიქრობდი“). აღნიშნული თემატური შაბლონებისათვის დამახასიათებელი სკრიპტები მკითხველმა უნდა გააქტიუროს საიმი-სოდ, რომ ლექსში წარმოდგენილი მენტალური მოვლენების თანმიმდევრულობა და მიზეზ-შედეგობრიობა დაადგინოს.

საანალიზო ლექსში იდენტიფიცირებული თემატური შაბლონების შესატყვისი სკრიპტების განსასაზღვრად უნდა აღინიშნოს, რომ აქ ნებისმიერი სევდა და მწუხარება არ იგულისხმება; ეს თემა რომან-

ტიზმის მიმდინარეობის მსოფლმხედველობრივი ასპექტებით არის დატვირთული. რომანტიზმის ერთ-ერთ ფილოსოფიურ საფუძველს წარმოადგენს შელინგის ნატურფილოსოფია, რომლის თანახმადაც ადამიანსა და ბუნებას შორის მსგავსება იხსნება მათი საერთო წარმომავლობით – ორივე მათგანში ემანირებულია აბსოლუტი (კაციტაძე, 2012, გვ.8). რომანტიკული გმირი, რომელიც გაუცხოებულია მისი გარემოსგან, ესწრაფვის სივრცეს, რომელიც, მისი აზრით, მისი მსგავსია. წარმოდგენილი მსოფლმხედველობრივი წანამდვრების საფუძვლებზე, მწუხარების თემატური შაბლონის რომანტიკული სკრიპტი ამგვარად შეიძლება დაკონკრეტდეს: მწუხარებისაგან თავის დასაღწევად რომანტიკოსი პერსონაჟი მიაშურებს ბუნების წიაღს, რათა მასთან პიროვნულ დიალოგში შევიდეს. ამგვარი დიალოგი კი ბუნების აღქმას/შემეცნებას გულისხმობს. როგორ ეხმარება მკითხველს იდენტიფიცირებული თემატური შაბლონი სიუჟეტის კონსტრუირებაში? ლექსზე დაკვირვება აჩვენებს, რომ იდენტიფიცირებული თემატური შაბლონი (სევდისგან თავის დაღწევა ბუნებაში გასვლით) განმცდელ მეს მიემართება და არა – მთხრობელ მეს, რადგან ლექსში არსად არაა მარკირებული, რომ წერის პროცესში მთხრობელი მე ბუნების წიაღში იმყოფება. განმცდელ მესთან მიმართებით შემდეგი სიუჟეტური ელემენტები უნდა გამოიყოს და შემდეგი თანმიმდევრობით დალაგდეს:

1. ნაღვლიანი განმცდელი მე მთაწმინდის მიდამოებში გადაადგილდება („ნაღვლიანი, კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი”);

2. მთაწმინდის მიდამოები განმცდელი მეს აღქმის საგანი ხდება („ცათა მიმართ მზირალს ტრფობითა...”)

3. აღქმულ რეალობას ფიქრითა და ემოციით აფასებს განმცდელი მეს ცნობირება („წყნარს საღამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი, რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი”).

მიუხედავად იმისა, რომ მთაწმინდის მიდამოების აღქმის შესახებ ინფორმაცია ლექსში მოსდევს ამავე მიდამოების შეფასებას (ე.ი. ჯერ შეფასებაა ასახული და შემდეგ აღქმა), ლექსში მარკირებული თემატური შაბლონისა და მისი სკრიპტის საფუძველზე მკითხველი ადვილად ახერხებს განსახოვნებული მენტალური პროცესების ქრონოლოგიურ დალაგებას და, შესაბამისად, თხრობის მსვლელობის იდენტიფიკაციას. განმცდელი მეს სევდა და მწუხარება (მე-3 სტროფი) ქმნის წერტილს, საიდანაც სიუჟეტის განვითარება უნდა დაიწყოს. პირველი შაბლონის მიხედვით რეკონსტრუირებული მენტალური

პროცესებისა და განმცდელი მეს ქმედებების გარდა, ლექსში სხვა სიუჟეტური ელემენტებიცაა წარმოდგენილი, შესაბამისად, ლექსის სიუჟეტის სრულფასოვანი ანალიზისათვის უნდა განისაზღვროს მეორე თემატური შაბლონიც. ამ თვალსაზრისით ლექსში მინიშნება მოცემულია („მახსოვს,მახსოვს...“).

ლექსში წარმოდგენილი მეორე თემატური შაბლონი – გახსენება – საანალიზო კატეგორიად რომ იქნეს გამოყენებული, რომანტიზმის მსოფლმხედველობის გათვალისწინება საკმარისი არ არის. ამ შემთხვევაში აღნიშნული თემატური შაბლონისათვის შესატყვისი სკრიპტის (შემადგენელი კომპონენტების თანმიმდევრობის სტანდარტული სქემის, სცენარის) დასაზუსტებლად გასათვალისწინებელია კოგნიტური მეცნიერების ცოდნა. სკრიპტის განსაზღვრისთვის უნდა განიმარტოს როგორ ფუნქციონირებს, რა დანიშნულება აქვს გახსენებას ადამიანის ცნობიერებისათვის, მისი იდენტობისათვის. ლირიკული ტექსტის ამგვარი საანალიზო გამოწვევა აჩვენებს, რომ თემატური შაბლონებისა და სკრიპტების დასაზუსტებლად საჭიროა ინტერდისციპლინური კომპეტენციების დანერგვა ლირიკული ტექსტების კვლევაში, ყოველდღიური გამოცდილება საამისოდ საკმარისი არ არის. შესაბამისად, თვით კოგნიტური სკრიპტების განსაზღვრა სამეცნიერო ტიპის აქტივობას უკავშირდება, ლექსის ლირიკული ანალიზისას ერთ-ერთი სამეცნიერო ამოცანაა.

კოგნიტური მეცნიერების მიხედვით, გახსენების მთავარი ფუნქცია იდენტობის ფორმირება/სტაბილური ფუნქციონირებაა – ადამიანი არის ის, რაც მას ახსოვს. გახსენება გულისხმობს წარსული გამოცდილების აწმყოში რეალიზაციას: წარსული ხელახლა იქცევა აწმყოდ გამოცდილების ვერბალიზების, მისი ნარატივად ქცევის საშუალებით. გახსენების თემატური შაბლონის შესატყვისი სკრიპტის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა კიდევ ერთი კოგნიტური თეორიის ინსტრუმენტალიზება: მოვლენათა სეგმენტაციის თეორიის მიხედვით (event segmentation theory), გამოცდილება, რომელიც გახსენებით ვერბალიზდება, გარკვეული ციკლურობით ხასიათდება, ერთგვარ ტრიადას ქმნის – აღქმა, შეფასება (ემოციური ან ვერბალური) და ქმედება (Zacks, 2001) გახსენების თემატური შაბლონის სკრიპტის განსაზღვრებისათვის ასევე გასათვალისწინებელია ავტობიოგრაფიული მეხსიერების (autobiographical memory) ცოდნა. ავტობიოგრაფიული მეხსიერების ავტორიტეტული მკვლევარი მ.ქონვეი მრავალწლიანი კვლევის შედეგად, ეპიზოდური მეხსიერების შემდეგ სტრუქტურას გვთავაზობს: თითოეულ

ეპიზოდურ მეხსიერებას აქვს კონცეპტუალური ჩარჩო, რაც ეპიზოდური მეხსიერების მნიშვნელობას გამხსენებელი ინსტანციისათვის აზუსტებს; სწორედ ამ კონცეპტუალური ინფორმაციის საფუძველზე წყვეტს ადამიანის ცნობიერება, რომ ეპიზოდური მეხსიერება მოკლე მეხსიერებიდან გადაიტანოს ხანგრძლივ მეხსიერებაში. კონცეპტუალური ჩარჩო მოიცავს ერთ ან რამდენიმე ეპიზოდურ მოვლენას (Habermas, 2012).

წარმოდგენილი თეორიული ასპექტების მიხედვით, ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზე“ გახსენების თემატური შაბლონის სკრიპტი ასე შეიძლება განისაზღვროს: გამხსენებელი აზუსტებს, რა მნიშვნელობა აქვს მისი იდენტობისათვის გასახსენებელ მოვლენას; იდენტობის სტაბილური ფუნქციონირებისათვის ცდილობს აღნიშნული გამოცდილების ფორმირების რეკონსტრუირება მოახდინოს. რა პრაქტიკული ღირებულების არის ზემოთ დაზუსტებული თეორიული შაბლონები და მათი შესატყვისი სკრიპტები, მათი გამოყენებით როგორ მიიღწევა ღირიკული ტექსტის კოჰერენტულობის ანალიზი?

აღნიშნული შაბლონებისა და სკრიპტების გათვალისწინებით, პირველ რიგში, ვახდენთ ლექსში წარმოდგენილი მენტალური მოვლენების მართებულ იდენტიფიკაციას: ლექსის პირველ ორ სტროფში მთაწმინდას არაერთი ეპითეტი უკავშირდება („დამაფიქვრელნი“, „ვერანანი“, „უდაბურნი“), იგი დამატებით დახასიათებულია აღწერითადაც („ვითარ შვენიან როს მონამენ ცვარცნი ციურნი“; „ძირს გაშლილს ლამაზსველსა ყვავილნი [...]). ლექსის პირველ ორ სტროფში მთხრობელი მე არ არის მარკირებული აღმქმელ ინსტანციად, მესამე სტროფიდან კი მოცემულია მინიშნება, რომ ლექსში წარმოდგენილი იქნება რეტროსპექტული თხრობა, უფრო კონკრეტულად, განსახოვნებული იქნება გახსენების აქტი („მახსოვს იგი დრო“).

ლექსის ბოლოდან მეორე სტროფშიც, რომელიც დასკვნის, შეჯამების ფუნქციას ასრულებს, კიდევ ერთხელ თემატიზებულია, რომ ლექსში წარმოდგენილი თხრობის მთავარი თემა გახსენებაა („ამგვარი იყო მთაწმინდაზედ შემოღამება! ჰოი, ადგილნო, მახსოვს, მახსოვს, რასაც ვჰფიქრობდი...“).

წარმოდგენილი შეზღუდვების მიხედვით, ლოგიკურია, დაისვას შემდეგი ორი კითხვა: 1. პირველ ორ სტროფში წარმოდგენილი მთაწმინდის დახასიათება მთხრობელი მეს რომელ მენტალურ პროცესს ასახავს? 2. პირველ ორ სტროფში წარმოდგენილი მთხრობელი მეს მენტალურ პროცესებს აქვს თუ არა მიმართება მომდევნო სტრიქონებ-

ში განსახოვნებულ განმცდელი მეს მენტალურ პროცესებთან? ამასთან, უნდა დაზუსტდეს პირველ ორ სტროფში წარმოდგენილი მენტალური პროცესები, გარდა კოჰერენტული ბმისა, არის თუ არა გახსენების აქტის კონკრეტული საფეხური, ანუ თხრობის კონკრეტული ეტაპი.

გახსენების აქტის სკრიპტის შესაბამისად, პირველ ორ სტროფში მოცემული ეპითეტები და მთაწმინდის აღწერითი დახასიათება აჩვენებს, მთხრობელი მეს ეპიზოდური მეხსიერების (მთაწმინდაზე შემოღამება – „ამგვარი იყო მთაწმინდაზე შემოღამება!“) კონცეპტუალურ ჩარჩოს, ანუ სხვაგვარად დღევანდელი გადასახედიდან რა ღირებულება აქვს გახსენებულ მოვლენას მთხრობელი მეს იდენტიფიკაციისათვის. ნარატიული თვალსაზრისით კი პირველი ორი სტროფი უნდა კლასიფიცირდეს როგორც შესავალი, *cota*.

ანალიზის ამ ეტაპზე გახსენების თემატური შაბლონისა და სკრიპტის დაზუსტებამ საშუალება მოგვცა, ლირიკული ტექსტის დასაწყისში მოცემული მენტალური მოვლენის სწორი იდენტიფიკაცია მოგვეხდინა და განგვესაზღვრა ტექსტის ამ მონაკვეთის სტრუქტურული ღირებულება. იგივე შაბლონი და სკრიპტი ლექსის კითხვისას საშუალებას იძლევა, იდენტიფიცირდეს ლირიკული თხრობის მომდევნო ეტაპი, კერძოდ, წინასწარ განსაზღვრული სკრიპტის მიხედვით, ლოგიკურია, ლექსში წარმოდგენილი იყოს იმ გამოცდილების რეკონსტრუირება, რომელმაც ლექსის დასაწყისში წარმოდგენილი მთაწმინდის მენტალური იმიჯის ფორმირება უზრუნველყო. ამდენად, იმით, რომ მესამე სტროფით მარკირებულია გამოცდილების ფორმირება, სტანდარტული ავტოდიეგეტური თხრობის სტრუქტურას იმეორებს. (ხვედელიძე, 2019) გამოცდილების ფორმირებასთან დაკავშირებული მენტალური პროცესების იდენტიფიკაციის თანმიმდევრობის განსასაზღვრა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ვიყენებთ პირველ თემატურ შაბლონს (მწუხარებისგან და სევდისგან თავის დაღწევა ბუნების წიაღში გასვლით).

ლექსში განსახოვნების საგანს მხოლოდ ეპიზოდური მეხსიერება რომ წარმოადგენდეს, ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ლექსის ძირითად ნაწილში წარმოდგენილი მენტალური პროცესების დასალაგებლად მხოლოდ პირველი თემატური შაბლონის გამოყენება; თუმცა ლექსის ანალიზი აჩვენებს, რომ მეორე თანაბარი მნიშვნელობის განსასახოვნებელ მოვლენას წარმოადგენს თვითონ გახსენების აქტი, რაც კომპლექსურია და განმცდელი და მთხრობელი მეს ტექსტების კორელაციას, ურთიერთქმედებას გულისხმობს. ანუ სხვაგვა-

რად რომ ვთქვათ, მეორე განსასახოვნებელი მოვლენა ვერ რეალიზდება ამბის (story) დონეზე, მისი განსახოვნება შესაძლებელია მხოლოდ დისკურსულ დონეზე.

ზემოთ მითითებული გახსენების კოგნიტური შაბლონის მიხედვით, როდესაც მოვლენა, ეპიზოდური მეხსიერება კონსოლიდირებულია ხანგრძლივ მეხსიერებაში, თხრობა ეპიზოდური მეხსიერების შესახებ მკვეთრად სტრუქტურირებული ხდება; ხოლო თუ ეპიზოდური მეხსიერება რაიმე ნიშნით ჯერ კიდევ არ არის კონსოლიდირებული, ინტეგრირებული გამხსენებელი ინსტანციის იდენტობის მოდელში ან ტრავმულ გამოცდილებას უკავშირდება, ან რაიმე ნიშნით ჯერ კიდევ გააზრების პროცესშია, მის შესახებ თხრობა სიმწყობრეს კარგავს. აღნიშნული სკრიპტი საანალიზო ლექსის ძირითად ნაწილში მოცემული მთხრობელი მეს ჩანართების სემანტიკის დეკოდირების საშუალებას იძლევა: საანალიზო ლექსში სიუჟეტური ელემენტების დეტალური ანოტირება განხორციელდა, ჯამურად მონიშნულ იქნა 54 ელემენტი, აქედან 29 დისკურსული და 25 - ამბის. თავისთავად 29 დისკურსული ელემენტის არსებობა ლექსში მიანიშნებს იმაზე, რომ დისკურსულ დონეზე განსასახოვნებელი მოვლენა (event), გახსენების აქტი, მთხრობელი მესთვის (მისი იდენტობის ფუნქციონირებისათვის) განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. აქვე უნდა განიმარტოს, რომ ლექსის დისკურსული ელემენტები მოიცავს მთხრობლისეულ შეფასებებს მთაწმინდაზე შემოღამების მენტალური იმიჯისა, ანუ სხვაგვარად ამ შეფასებებით მთხრობელი ვერბალიზებას უკეთებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მისთვის გახსენებულ მოვლენას – მთაწმინდაზე შემოღამებას. გარდა რაოდენობისა, ყურადღება უნდა მიექცეს ეპიზოდური მეხსიერების გახსენების ზემოთ დაზუსტებული სკრიპტის მიხედვით დისკურსული ელემენტების განაწილებას და სიმჭიდროვეს (density): თუ ძირითადად დისკურსული ელემენტები ანუ კონცეპტუალური შეფასებები მთხრობლისა მოცემულია ლექსის შესავალში ან დასკვნაში, რომელიც გარს ერტყმის გახსენებულ ეპიზოდურ მეხსიერებას, ეს მიმანიშნებელია ეპიზოდური მეხსიერების მაღალი ინტეგრაციისა, კონსოლიდაციისა მთხრობელი მეს იდენტობის მოდელში. ასეთ ნარატივში ნარატიულობის დონე შედარებით დაბალია, რადგან თხრობის პროცესში არაერთგვაროვნებისა და მოულოდნელობის ფაქტორი მცირეა. დისკურსული ელემენტების განაწილების მეორე ვარიანტია, როდესაც ეს ელემენტები თანაბრად არის მიმოხილული ლექსის სხვადასხვა სტრუქტურულ ნაწილში; ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზე“,


29 დისკურსული ელემენტიდან 13 მოცემულია შესავალსა და დასკვნაში, ხოლო დანარჩენი ერწყმის ამბის დონეზე განსახოვნებულ სიუჟეტურ ელემენტებს. ამბის 25 ელემენტიდან 7 (მე-4 და მე-5 სტროფებში) არ უკავშირდება მთაწმინდაზე შემოღამების გამოცდილების ჩვენებას, ამ ელემენტებით აღწერილია განმცდელი მეს ის აქტივობები, ფიზიკური თუ მენტალური, რომლებიც მოხდა მთაწმინდაზე შემოღამებიდან წერის პროცესამდე. თვითონ ეს ფაქტი, რომ ამბის და დისკურსული დონის ელემენტები პერიოდულად ერთმანეთს ენაცვლება და ეს მონაცვლეობა ვერასდროს ვერ იქნება წინასწარ განსაზღვრული შაბლონის და სქემის შესატყვისი, ლექსში ქმნის ნარატიულობის მაღალ ხარისხს. ლექსში განსახოვნებული ნარატიულობის დონის განსაზღვრად საანალიზო ლექსის ანოტირების შემდეგ დადგინდა ცალკეული სტროფებისა და სტრიქონების სიმჭიდროვე მათში წარმოდგენილი სიუჟეტური ელემენტების რაოდენობის მიხედვით. ამ თვალსაზრისით ლექსის ნარატიულობის ხარისხზე გავლენას ახდენს ის გარემოება, რომ სტროფებისა და სტრიქონების სიმჭიდროვე არ არის ჰომოგენური, ერთგვაროვანი და ის იცვლება ნარატიული სიტუაციის შესაბამისად. ასე, მაგალითად, ეპიზოდური მეხსიერების განსახოვნების დასაწყისში სტროფების ფარგლებში ამბის და დისკურსის ელემენტების თანაარსებობა სტანდარტულ მოცემულობას ქმნის. თუმცა მე-6 სტროფში ლექსის საერთო განწყობისაგან საპირისპიროდ (იზოტოპიურად თემატიზებულია მიღმიერ რეალობასთან თანაზიარობის შესაძლებლობით წარმოშობილი სიხარული), მოულოდნელად მთხრობელი ჰყვება იმის შესახებ, რომ მთაწმინდაზე შემოღამების შემდეგ წერის მომენტამდე მრავალგზის მომხდარა ისე, რომ განმცდელ მეს უცდია მიღმიერი რეალობის შეცნობა, მაგრამ ყოველი ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩენილა („მე შენსა მჭვრეტელს მავიწყდების საწყუთროება“ [...] „მაგრამ ვერ სცნობენ, გლახ, მოკვდავნი განგებას ციურს!“). გარდა იმისა, რომ თხრობის ამგვარი გაგრძელება ლექსის მთლიან ემოციურ კონოტაციას ეწინააღმდეგება, არ შეესაბამება მთხრობლის იმ შეფასებებს, რომლებიც მე-7 სტროფშია მოცემული („მთაო [...] ვინ მოგიახლოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება//არა იპოვნოს და არ დახსნას გულსა ვაება,“). ამ სტრიქონების მიხედვით, მთაწმინდის მიდამოების ხილვა მიღმიერი სამყაროს შემეცნების გარანტიად არის მიჩნეული. საანალიზო ლექსის მთხრობელი, აღნიშნული წინააღმდეგობების გათვალისწინებით, არასაიმედო მთხრობლად უნდა კლასიფიცირდეს. საანალიზო ლექსის აღნიშნულ მონაკ-

ვეთში თხრობის სემანტიკის ცვლილება არეკლილია სეგმენტაციის ნაწილშიც, კერძოდ, ლექსის ფარგლებში პირველად ჩნდება სტროფი, რომელშიც მხოლოდ ამბის დონის შესატყვისი სიუჟეტური ელემენტებია წარმოდგენილი (მე-5 და მე-6 სტროფები). ხოლო ამ ელემენტების სიმჭიდროვე კი სხვა სტროფებთან შედარებით განსაკუთრებით მაღალია, კერძოდ, 9 ელემენტია წარმოდგენილი – ამ 9 სიუჟეტური ელემენტის გამოყენებით ნიუანსურად არის განსახოვებული განმცდელი მეს გამოცდილება, რომელიც მთაწმინდაზე შემოლამებას უკავშირდება. ეს სტრუქტურული ცვლილება იმ მიზანს უნდა ემსახურებოდეს, რომ მთხრობელი მეს ცნობიერებაში გამომკრთალი აზრი – ადამიანისათვის მიღმიერი რეალობა მიუწვდომელია – გაბათილდეს მთაწმინდაზე შემოლამების გამოცდილების გაცოცხლებით.

წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე წერის პროცესი უნდა კლასიფიცირდეს როგორც ცალკე განსახოვებული მოვლენა, ანუ, სხვაგვარად, ლექსის „შემოლამება მთაწმინდაზე“ წერა მთხრობელი მესთვის ერთგვარი თვითგამორკვევის პროცესია. საანალიზო ტექსტის მიხედვით, ეპიზოდური მეხსიერების განსასახოვნებლად წარმოდგენილია განმცდელი მესა და მთხრობელი მეს ტექსტები; თავის მხრივ, განმცდელი მეს ტექსტი ნაწევრდება აღქმად, ემოციურ და ფიქრით შეფასებად და განმცდელი მეს მოქმედებად; ხოლო მთხრობელი მეს ტექსტი ორი ტიპის ინფორმაციას შეიცავს: 1. ეპიზოდური კონცეპტუალური ჩარჩოს ელემენტები. 2. ემოციური შეფასება.

აღნიშნულზე დაკვირვებით ჩანს, როგორ იგება თხზულებაში სიუჟეტი – მთხრობელი და განმცდელი მეს ტექსტების მონაცვლეობით, რომელთა იდენტიფიცირებაში შაბლონები და სკრიპტები გვხვმარება.

საკვლევ ტექსტში განსახოვებული სიუჟეტური ელემენტები კი ასე შეიძლება დალაგდეს:



გამოყენებული ლიტერატურა:

- ხვედელიძე, ი. (2019). ავტობიოგრაფიული ჟანრის ნარატოლოგიური საფუძვლები (აკაკი წერეთლისა და მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის ავტობიოგრაფიული ტექსტების მიხედვით). დისერტაცია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.
- Emmott, C. & Alexander, M. (2014). Schemata. Published on the living handbook of narratology (<http://www.lhn.uni-hamburg.de>)
- Habermas, T. (2012). Identity, emotion, and the social matrix of autobiographical memory: a psychoanalytic narrative view. In Understanding Autobiographical Memory: Theories and approaches. New York, Cambridge University Press.
- Hühn, P. (2010). Plotting the lyric: forms of narration in poetry, *Literator* 31(3) Des./Dec.
- Hühn, P. & J. Schonert. (2005). Introduction: The Theory and Methodology of the Narratological analysis of Lyric Poetry, *Narratologia*, Walter de Gruyter, Berlin, New York.
- Plooy, H.J.G. (2010). Narratology and the study of lyric poetry. *Literator* 31(3) Des./Dec.
- Zacks, JM, Tversky B, Iyer G. (2001). Perceiving, remembering, and communicating structure in events. *Journal of Experimental Psychology: General*. [https://www.researchgate.net/profile/BarbaraTversky/publication/12041508_Perceiving_remembering_and_communicating_structure_in_events/links/0c96051e2bd904caf1000000/Perceiving-remembering-and-communicating-structure-in-event s.pdf](https://www.researchgate.net/profile/BarbaraTversky/publication/12041508_Perceiving_remembering_and_communicating_structure_in_events/links/0c96051e2bd904caf1000000/Perceiving-remembering-and-communicating-structure-in-event%20s.pdf)

References:

- Emmott, C. & Alexander, M. (2014). Schemata. Published on the living handbook of narratology (<http://www.lhn.uni-hamburg.de>)
- Habermas, T. (2012). Identity, emotion, and the social matrix of autobiographical memory: a psychoanalytic narrative view. In *Understanding Autobiographical Memory: Theories and approaches*. New York, Cambridge University Press. 2012.
- Hühn, P. (2010). Plotting the lyric: forms of narration in poetry, *Literator* 31(3) Des./Dec. 2010.
- Hühn, P. & J. Schonert. (2005). Introduction: The Theory and Methodology of the Narratological analysis of Lyric Poetry, *Narratologia*, Walter de Gruyter, Berlin, New York.
- Khvedelidze, I. (2019). Avt'ograpiuli zhanris narat'ologiuri sapudzvebi (Ak'ak'i Ts'eretlisa da Mariam Jambak'ur Orbelianis avt'obiograpiuli t'ekst'ebis mikhedvit [Narratological Origins of the Autobiographical Genre]. *Disert'atsia pilologiis dokt'oris ak'ademiuri khariskhis mosap'oveblad*. Tbilisi.
- Plooy, H.J.G. (2010). Narratology and the study of lyric poetry. *Literator* 31(3) Des./Dec.
- Zacks, JM, Tversky B, Iyer G. (2001). Perceiving, remembering, and communicating structure in events. *Journal of Experimental Psychology: General*.
[https://www.researchgate.net/profile/Barbara-Tversky/publication/12041508_Perceiving_remembering_and_communicating_structure_in_events/links/0c96051e2bd904caf1000000/Perceiving-remembering-and-communicating-structure-in-event s.pdf](https://www.researchgate.net/profile/Barbara-Tversky/publication/12041508_Perceiving_remembering_and_communicating_structure_in_events/links/0c96051e2bd904caf1000000/Perceiving-remembering-and-communicating-structure-in-event%20s.pdf)